საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 22 იანვარი 1919 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

ხელმოწერის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი — ერთი 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნეს არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არავ მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შეიძლება აგზავნონ უნდა გამოეგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის" რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 16 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 16

# საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## დამფუძნებელი კრების საარჩევნო პლატფორმა

დამფუძნებელი კრება საუკეთესო და პირუთვნელი გამომხატველია ხალხის სურვილის, მის ნებისყოფის.

პარტია პროლეტარიატისა, საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტია, დღიდან მისი ჩასახვისა თავის პირველ და მიუცილებელ მოთხოვნილებათ აყენებდა მთელი ხალხის მიერ თავისუფლათ არჩეული დამფუძნებელი კრების მოწვევას, რადგან მხოლოდ ეს იყო ერთად ერთი საშუალება ქვეყნის დემოკრატიულ ნიადაგზე გადასაქმნელათ.

საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტია მთელი ქვეყნის მუშათა სოციალისტურ პარტიებთან ერთათ იბრძვის ისეთი წესწყობილებისათვის, რომლის დროსაც ყოველი სიმდიდრე, წარმოების ყველა საშუალებანი, მთელი ადგილ მამული, ფაბრიკები, ქარხნები, მადნები, გზები,—ყოველივე, რაც კი ადამიანის მარჯვენას შეუქმნია, ან რაც მისთვის გამოსადეგია—საზოგადო, საყოველთაო საკუთრებათ გადაიქცევა.

ამ სოციალისტური წყობილების დროს აღარ იქნება კლასთა ბრძოლა, ვინაიდან გაქრება თვით კლასები, აღარ იქნება მდიდარი და ღარიბი, გაყვლეფილი და გამყვლეფელი, გაუქმდება ფული და მასთან დაკავშირებული ბიროტ-მოქმედება. გაქრება დაჩაგვრა ერთი ერისაგან მეორე ერისა, ერთი სქესისაგან მეორე სქესისა: მთელი კაცობრიობა ერთსულოვან ძმურ ოჯახად გარდაიქმნება, ყველას საშუალება მიეცემა იშრომოს და მთელი თავისი ნიჭი, ცოდნა, უნარი საერთო ბედნიერებას და წარმატებას მოახმაროს.

ასეთი წყობილების განხორციელება მოითხოვს შესაფერ ნიადაგს—მრეწველობის უაღრესათ განვითარებას, საერთო სიმდიდრის ზრდას და ხალხის დიდი უმრავლესობის სოციალისტურათ აღზრდა მომზადებას.

ამიტომ ყველა ქვეყნის სოციალისტები იცავენ საწარმოვო ძალთა განვითარების საქმეობას, და ამასთანავე მოითხოვენ მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას; მათი მისწრაფებაა ყველგან მთელი ხალხის მართვა გამგეობის შემოღება, სრული თავისუფლების დამყარება და ცხოვრებაში გატარება ისეთი რეფორმებისა, რომელნიც გაუადვილებენ მუშა ხალხს სოციალიზმისთვის ბრძოლას.

სოციალ-დემოკრატია მუშათა კლასის, მშრომელი, ღარიბი ხალხის პარტიაა. მაგრამ არც ქალაქის და სოფლის წვრილი მესაკუთრენი არიან დღეს დალხინებულ მდგომარეობაში. მათ სულს უხუთავს მსხვილი კაპიტალი, სისხლს სწოვს მევახშე, აღატაკებს და ბოლოს პროლეტართა ბანაკში გადისვრის.

სოციალ-დემოკრატიამ იცის, რომ ამათი ხსნაც მხოლოდ სოციალისტური წყობილების დამყარებაშია—და ამიტომ მოუწოდებს მათ გვერდში ამოუდგნენ სოციალისტურ ლაშქარს—მუშათა კლასს, რომელიც იბრძვის რა თავის განსათავისუფლებლათ გაბატონებულ კლასებისაგან, ამავე დროს იცავს მთელი ხალხის თავისუფლებას და მისი ინტერესების უზრუნველყოფას ყოველგვარი შევიწროებისა და დაჩაგვრისაგან. ოცდა ათი წელიწადია, რაც პირველი სოციალ დემოკრატები გაჩნდნენ ჩვენში.

ამ ხნის განმავლობაში არ შეჩერებულა ერთის წუთსაც სოც.-დემოკრატიის ენერგიული ბრძოლა ყოველგვარი უსამართლოების წინააღმდეგ.

ამ ოცდა ათის წლის განმავლობაში მათ შესძლეს ჩაგრული ხალხის ფეხზე დაყენება, სათავეში ჩაუდგნენ მათ თავდადებულ ბრძოლას ფეოდალ მემამულეების, კაპიტალისტების და მათი დამცველი თვითმპყრობელი მთავრობის წინააღმდეგ.

1905 წელს, რევოლიუციის ხანაში იგინი უძღოდნენ წინ ჩვენი ხალხის გამარჯვებას, შემდეგი წლების რეაქციის შავ-ბნელ დროში და ომიანობის ხანაში იგინი უდგნენ ხალხს გვერდში და ამხნევებდნენ მას.

მათ სდევნიდნენ ციხეებით, ციმბირით, მაგრამ მათი ენერგია არ დაშრეტილა.

1917 წლიდან, როცა დადგა ჟამი რუსეთის რევოლიუციის გამარჯვებისა, ეს პარტია, სოციალ-დემოკრატია, ჩაუდგა სათავეში მუშათა და გლეხთა რევოლიუციურ ორგანიზაციებს.

ჩვენი საუკეთესო ბელადები და ხელმძღვანელები გამოვიდნენ მთელი რუსეთის დემოკრატიის საუკეთესო ხელმძღვანელებათ და სანამ რევოლიუციის ბედი წაღმა ტრიალებდა რუსეთში, მათ ხელში იყო საქმე დემოკრატიისა.

როცა რუსეთის თვალუწვდენელი სივრცე წალეკა ბოლშევიზმის მღვრიე ტალღებმა, ჩვენმა სოციალ-დემოკრატიამ მთელი თავისი ღონე იხმარა ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს გადასარჩენათ ამ საშინელი გამანადგურებელი ხიფათისაგან.

შემდეგ, როცა რუსეთი დაირღვა და ბოლშევიკური ანარქიის ცეცხლში გახვია, როცა ჯარი დაიშალა და ამ რიგათ რუსეთი მოსწყდა ჩვენს ქვეყანას, სოციალდემოკრატიის მეთაურობით მოხდა გამოცხადება ჯერ ამიერ-კავკასიის და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის.

რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლათ და ხალხის ინტერესების დასაცველათ აიღო სოციალ-დემოკრატიამ ხელში მუშათა პარტიისთვის უმაღლესი საქმე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. მან იკისრა შექმნა და განმტკიცება დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილებისა ჯერ ამიერ-კავკასიის და შემდეგ გასული წლის 26 მაისიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში.

რამდენი ხიფათი, რამდენი მტერი გაუჩნდა ჩვენს თავისუფლებას!

ბოლშევიკური ანარქიის სისხლიანი ტალღები ეხეთქებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს და წალეკას უქადდნენ. სოციალ დემოკრატიამ შესძლო მათი მოგერიება. ოსმალთა ურდოები გათამამებულნი შემოესივნენ საქართველოს დემოკრატიას მოსასპობათ. სოციალ-დემოკრატიამ აქაც იპოვა გზა და საშუალება მათი საფრთხის თავიდან აშორების, და ამით საუკეთესო დამცველი და გზის მაჩვენებელი შეიქნა მთელი ერისა. უკანასკნელ დროს მან მოიგერია სომხეთის ვერაგული თავდასხმა. სოც.-დემოკრატიამ მოაგვცა შეიარაღებული ძალა მუშების და მოწინავე გლეხების წითელი გვარდია, და შემდეგ შექმნა დემოკრატიული ჯარი, რომელიც ერთგულ დარაჯათ უდგას ხალხის ინტერესებს და იცავს მის თავისუფლებას შინაურ და გარეშე მტრისაგან.

შეუდგა რა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, სოციალ-დემოკრატიამ, თანახმათ ხალხის საარსებო ინტერესებისა, დაამყარა შინ სრული რევოლიუციური წესიერება და გარეშე ევროპის სახელმწიფოებს შორის მოუპოვა ჩვენს რესპუბლიკას ცნობა და თანაგრძნობა, რითაც განუმტკიცა მას გზა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარებისა.

თვითარსებობისთვის გამწვავებულ ბრძოლის ხანაშიაც კი, როცა იდგა საკითხი ყოფნა არ ყოფნისა, სოციალ-დემოკრატიამ არ დაივიწყა დემოკრატიულ რეფორმების გატარება ცხოვრებაში.

მისი თაოსნობით გადაიჭრა აგრარული საკითხი: მიწა ჩამოერთვათ ნორმაზე ზევით ყველა მსხვილ მიწის მფლობელთ და გადაეცა უმიწაწყლო და მცირე მიწის პატრონ სოფლის მუშებს.

დაქირავებულ მუშებისთვის განხორციელდა 8 საათის სამუშაო დღე, შემოღებულ იქნა დემოკრატიული ზედამხედველობა შრომისა, დაარსდა მომრიგებელი კამერები და შრომის ბირჟები, სადაც მუშათა ინტერესები სავსებით უზრუნველყოფილია. საერთოთ ყველა მოქალაქეთ მიენიჭა თავისუფლება და დემოკრატიული უფლებანი.

მუშათა პარტიის მეთაურობით შესდგა დემოკრატიული მთავრობა ცენტრში, მოეწყო ხალხის მიერ არჩეული ერობები ადგილობრივ და დაწესდა ახალი არჩეული სასამართლოები.

სოციალ-დემოკრატიამ შესძლო შენარჩუნება იმისი, რაც დიდმა რუსეთმა დაკარგა: რევოლიუციის და თავისუფლების.

პატარა საქართველო დღეს ოაზისივით დგას, როგორც სანიმუშო გამონაკლისი რუსეთის უდაბნოში. მხოლოდ ერთად-ერთი საქართველოს დემოკრატია სარგებლობს ბრძოლით მოპოვებულ უპირატესობით.

აცილა რა რუსეთის ბოლშევიზმის დამღუპველი გზა, საქართველოს სოციალ-დემოკრატია იმედით შეჰყურებს დასავლეთ ევროპაში აღორძინებულ რევოლიუციონურ ბრძოლას საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. და ჩვენ ვიცით, რომ საუკეთესო მომზადება ამ მოსალოდნელი დიდი სოციალისტური გადატრიალების შესახვედრად—იქნება განმტკიცება სრული დემოკრატიზმისა ცხოვრებაში და კლასობრივი გაწვრთნა-გაცნობიერება ფართო მასსისა დემოკრატიულ შემოქმედებაში მონაწილეობით.

ამ გზით იბრძოდა დღემდე სოციალ-დემოკრატია, ამ გზით იგერიებდა მარჯვნით და მარცხნით შემოსეულ მოწინააღმდეგეებს დემოკრატიის ნამდვილი ინტერესების დასაცველად.

დამფუძნებელ კრებაშიაც სოციალ-დემოკრატია განაგრძობს ამ ნაცადი გზით სვლას და შეეცდება ხალხის საკეთილდღეოთ განახორციელოს შემდეგი საჭიროებანი:

### 1.

### ომი და ჯარი.

სოციალ-დემოკრატია მომხრეა ერთა სოლიდარობის და ყველა სახელმწიფოებთან ძმური განწყობილების. იგი არავის არ აუტეხს ომს, მაგრამ მთელი თავისი ძალ-ღონით წინ აღუდგება მტრის შემოსევას და დაიცავს დამოუკიდებელ საქართველოს ყოველივე შეიარაღებული თავდასხმისაგან.

სოციალ-დემოკრატია მომხრეა, რომ ყოველი სადაო კითხვა მეზობელ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებით ან არბიტრაჟით (მესამე სახელმწიფოს შუამავლობით გაათავოს. მაგრამ არავის ნებას არ მისცემს იარაღით მოახვიოს თავზე ჩვენ ხალხს თავის სურვილები.

ამ მიზნით სოციალ დემოკრატები ეცდებიან უზრუნველჰყონ, როგორც ჯარი, ისე სახალხო გვარდია ყოველივე იმით, რაც მათთვის აუცილებელია და შეუმსუბუქონ ხალხს ამ მძიმე მოვალეობის შესრულება. საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ კი სოციალ-დემოკრატები ეცდებიან მუდმივი ჯარის ნაცვლათ სახალხო მილიციის შემოღებას.

### 2.

### სახელმწიფოებრივი წესწყობილება და მოქალაქეთა უფლებები.

სოციალ-დემოკრატია უდგას დღეს სათავეში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მთელი თავის ენერგიითა და შეძლებით დაიცავს მის დამოუკიდებლობას და ხელშეუხებლობას ყოველივე გარეშე ძალისაგან.

რესპუბლიკის შიგნით სოციალ-დემოკრატიის მიზანია—განამტკიცოს სრული ბატონობა ხალხისა, ე. ი. დააწესოს პროპორციონალურ საფუძველზე საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეული ერთ პალატიანი რესპუბლიკა ისე, რომ დეპუტატთა პალატის და მის მიერ არჩეულ მთავრობის ხელში იყოს მთელი ქვეყნის მართვა-გამგეობა. ამ ხალხის წარმომადგენლობას უნდა მიენიჭოს უზენაესი ძალაუფლება, მის ხელში უნდა იყოს ომის და ზავის გადაწყვეტის საკითხი და საზოგადოთ მთელი საგარეო პოლიტიკა.

ამასთანავე მთავარ საკანონმდებლო საკითხებში უნდა შემოღებულ იქნას ხალხის პირდაპირი მონაწილეობა.

გარდა ამისა სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ, რომ საზოგადოებრივი მართველობის დემოკრატიული ორგანოები, ქალაქისა და საერობო, იმავ საფუძველზე არჩეულნი, როგორც რესპუბლიკის პარლამენტი, წარმოადგენდნენ ადგილობრივ მართვა-გამგეობის ორგანოებს და კერძოთ მათ ექვემდებარებოდეს ქალაქისა და საერობო მილიცია.

სოციალ-დემოკრატები მომხრე არიან დაწესდეს მოსამართლეებისა და სხვა მოხელეთა არჩევა და ისინი სხვა მოქალაქეებთან ერთათ პასუხისმგებელი იყვნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე. საზოგადოთ ყველა მოქალაქეების შესახებ სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ, რომ ისინი შეუზღუდველათ სარგებლობდნენ უკვე მოპოვებულ თავისუფლებით, როგორიც არის სინდისის თავისუფლება, თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების და გაფიცვის; ეცდებიან მოიპოვონ პიროვნების და ბინის შეუხებლობა, დაამტკიცონ წოდების, ტიტულის და ჩინ ორდენების გაუქმება და უფლებრივათ მოქალაქეთა სრული გათანასწორება განურჩევლათ ეროვნებისა, სქესისა, სარწმუნოებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა.

და ბოლოს სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ ეკლესიის სახელმწიფოსგან განცალკევებას და სკოლის ეკლესიისგან და აგრეთვე უფასო სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღებას ყველა ბავშვთათვის 16 წლამდე.

### 3.

### ეროვნული უმცირესობანი.

სოციალდემოკრატები წინააღმდეგი არიან ერთი ერის მიერ მეორე ერის დაჩაგვრისა და შევიწროების. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საზღვრებში ყველა ერი უნდა თანასწორი იყოს და თვითეულს მათგანს სრული საშუალება მიეცეს თავის ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა.

### 4.

### აგრარული საკითხი.

გლეხთა განსათავისუფლებლათ მემამულეთაგან და სოფლის მეურნეობის განსავითარებლათ სოციალდემოკრატიის მეთაურობით და ინიციატივით უკვე ჩამორთმეულ იქნა მამულები საუფლისწულო და საკაბინეტო, აგრეთვე საეკლესიო და კერძო მემამულეების—უკანასკნელთ კანონით დაუტოვათ მხოლოდ განსაზღვრული ნორმა. ყველა ჩამორთმეული სახნავ-სათესი ადგილები დაურიგდება უმიწაწყლო და მცირე მამულიან მიწის მუშებს შეღავათიან ფასებში სრულ საკუთრებათ.

მიწის წვრილი საკუთრება, როგორც სანადელო, ისე შეძენილი, უნდა დარჩეს მათი დღევანდელი მფლობელობის ხელში. ყველა იმ გლეხებს, რომელთაც მიწა ჰქონდათ მიცემული მუდმივ სამფლობელოთ ან ვორონცოვის თუ სხვა უფლებებით, მაგ. ხიზნებს, სახაზინო გლეხებს, მუდმივ მოიჯარადრეებს და სხვებს, მათი მიწები უნდა დაუმკვიდრდეს კერძო საკუთრებათ, მაგრამ, რომ ადგილ მამული ხელში არ ჩაიგდონ ჩარჩ-ბაცაცებმა, ყიდვა-გაყიდვის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივ თვითმართველობას და სახელმწიფოს.

ამ თვითმართველობის ხელში უნდა გადავიდეს აგრეთვე ყველა მიწები და მამულები, რომელიც საჭიროა სამეურნეო შკოლებისთვის, საცდელი მინდვრების, სამაგალითო მეურნეობის მოსაწყობათ და სხვ. ხოლო ის მიწები, ტყეები და წყლები, რომელთაც აქვთ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, უნდა მთელი რესპუბლიკის საკუთრებათ დარჩეს, მათ სარგებლობაში კი მონაწილეობა დაედვას ადგილობრივ თვითმართველობას.

ამასთანავე სოციალდემოკრატები მოითხოვენ გამოცემულ იქნას კანონი, რომელიც დაიცავს სოფლის მეურნე მუშებს დამქირავებელთა გაყვლეფისაგან და გავრცელდეს მათზე შრომის დაცვის ყველა კანონები.

### 5.

### მუშათა საკითხი.

რომ დაცულ იქნენ მუშები ფიზიკური და ზნეობრივი გადაგვარებისაგან, რომ მათი გამათავისუფლებელი მოძრაობა უკეთეს პირობებში ჩადგეს, სოციალდემოკრატები მოითხოვენ დამფუძნებელ კრებისაგან დამტკიცებულ იქნას: 8 საათის სამუშაო დღე ყველა დაქირავებულ მუშებისთვის სავალდებულო ყოველკვირეული დასვენებით არა ნაკლებ 42 საათისა; ზედმეტ მუშაობის სრულიად მოსპობა იქ, სადაც ის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს; 16 წლამდე ბავშვების მუშაობის აკრძალვა; მცირე წლოვანთა და ქალთა შრომის შეზღუდვა; მრეწველთა მიერ ზედმეტი ყვლეფისაგან მუშათა დაცვა და მრეწველთა პასუხისმგებლობა უბედურ შემთხვევის გამო. აგრეთვე მოითხოვენ სახელმწიფოებრივ დაზღვევას—ავათმყოფობისა, მოხუცებულობისა და უმუშევრობისაგან. სოც.-დემოკრატები მოითხოვენ შრომის ინსპექციის დაწესებას მუშათაგან არჩეულ პირთა მონაწილეობით და სასტიკ სანიტარულ თვალყურის დევნებას იმ შენობებისას, სადაც მუშაობა სწარმოებს და მუშები ცხოვრობენ. დასასრულ, მოითხოვენ შრომის კანონის დარღვევისათვის დამქირავებელთა სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემას, მომრიგებელ კამერებისა და შრომის ბირჟების ყოველ ადგილას დაარსებას და სხვ.

### 6.

### წარმოების მოწესრიგება და განაწილება.

მწვავე ეკონომიური კრიზისი, რომელიც გვიანდერძა ომმა და რევოლიუციამ, მრეწველობის და ტრანსპორტის სრული არევ-დარევა, უმუშევრობა და შიმშილის საფრთხე სახელმწიფოს წინ უყენებს რთულს და მძიმე საკითხებს. სოციალდემოკრატები მოითხოვენ სახელმწიფო ჩაერიოს ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგში, ხელი შეუწყოს მრეწველობის აღორძინება-განვითარებას, მოაწესრიგოს ტრანსპორტის და მიმოსვლის საშუალებანი და მნიშვნელოვან საგნებზე შემოიღოს მონოპოლია და საერთოთ შექმნას ნორმალური პირობები ვაჭრობისა და წარმოებისათვის მშრომელთა ინტერესების აუცილებელი დაცვით.

### 7.

### ფინანსიური პოლიტიკა.

ყველა ამ დიდ რეფორმების განსახორციელებლათ საჭირო იქნება დიდძალი თანხა.

სოც.-დემოკრატები დამფუძნებელ კრებაში მოითხოვენ სახელმწიფო გადასახადების უმთავრესი სიმძიმე დაეკისროს შეძლებულ კლასებს. ამისთვის სოც.-დემოკრატები ეცდებიან ქონებაზე ერთდროულ გადასახადის შემოღებას და არა პირდაპირ გადასახადების თანდათანობით შეცვლას შემოსავლისა და მემკვიდრეობაზე—პროგრესიული წესით დადებული გადასახადებით.

სახელმწიფო ფინანსების მოსაწესრიგებლად ს.-დემოკრატებს საჭიროდ მიაჩნიათ ყურადღება მიექცეს სახელმწიფო ქონების გონიერ მოვლას და ექსპლოატაციას, ფულის ფასის აწევისათვის შესაფერი ღონისძიებების მიღებას, და საერთოდ ფულის ტრიალის ნორმალურ პირობებში ჩაყენებით ფინანსიური ურთიერთობის გაჯანსაღებას.

ყველა ამ რეფორმების გატარება არ შეუძლიათ არც ყოფილ მემამულეთა დამცველ რეაქციონერებს, არც კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. საქართველოს ბურჟუაზია სუსტია და ლაჩარი, მას არც კი შესწევს ძალა და უნარი სახელმწიფოს გაძღოლისა.

დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა შექმნას დემოკრატიამ, ხალხმა. ხალხს კი შეუძლიან ენდოს მხოლოდ სოციალდემოკრატიას. სოციალდემოკრატიამ განახორციელა უკვე ერთი ნაწილი ზემო ჩამოთვლილ მოთხოვნებისა საქართველოს პარლამენტის საშუალებით, ნაწილიც დაკანონებულია და ელის განხორციე-

# დღეს

**სოჩის ოლქის იმ ნაწილის მცხოვრებნი, რომელიც მოხალისეთა ჯარს უკავია, სთხოვენ საქართველოს მთავრობას და ინგლისის მისიას დაიფარონ მოხალისეთა თვითნებობისაგან.**

---

**დროებითი ზავის პირობების თანახმად ოსმალეთის გარნიზონი, რომელიც მედინაში იყო, ინგლისს არ დანებდა, ამიტომ ქალაქი იერიშით იქნა აღებული, რის გამო დაინგრა ის მეჩეთი, სადაც მაჰმადის კუბო ესვენა.**

---

**საზავო კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კლემანსო.**

---

**შეთანხმების სახელმწიფოებს გადაუწყვეტიათ შესწყვიტონ სამხედრო მოქმედება გერმანელებსა და პოლონელებს შორის.**

---

ლებას. ამით დამტკიცდა, რომ რევოლიუციური შემოქმედების უნარი შესწევს მხოლოდ რევოლიუციურ დემოკრატიას და მის ავანგარდს, სოციალდემოკრატიულ პარტიას.

როგორც დღემდე, ისე დამფუძნებელ კრებაში მოღვაწეობის დროს სოციალდემოკრატები იხელმძღვანელებენ უპირველეს ყოვლისა ქალაქისა და სოფლის მუშათა კლასის ინტერესების დაცვით; გადაჭრით შეებრძოლებიან გარეშე და შინაურ კონტრ-რევოლიუციონერთა ცდას, ჩვენი ცხოვრების ბედი უკუღმა შეაბრუნონ, დაიცვან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ყოველივე საფრთხისაგან. სოციალ-დემოკრატები ხელს შეუწყობენ ქვეყნის საწარმოვო ძალთა განვითარებას, მის კულტურულ ამაღლებას, თავისუფლების განმტკიცებას და ხალხის ბატონობის დამყარებას, ესე იგი სრული დემოკრატიზმის განხორციელებას. ეს საუკეთესო საშუალებაა სოციალიზმის მისაღწევად და მისთვის ბრძოლის გასაადვილებლად სრულ დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ, ასეთია ჩვენი გზა.

ს.-დემოკრატიული პარტია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც საქმით იცავს მუშათა გლეხთა და ნაციონალურ უმცირესობათანამდვილ ინტერესებს.

ამხანაგებო და მოქალაქენო, ხმა მიეცით სოც. დემოკრატიის სიას № 1.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

**ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა.**

---

მოქალაქენო! რუსეთის ყოფილი იმპერიის ყველა კუთხიდან აქეთკენ მოეშურებიან დევნილები. მათ იციან, რომ აქ მათი ქონება და პიროვნება ხელშეუხებელია. აქ სრული რევოლიუციონური წესრიგი სუფევს.

ეს სოციალდემოკრატიის საქმეა.

ხმა მიეცით სიას № 1.

## დამფუძნებელი კრება

რა არის დამფუძნებელი კრება?

ჩვენ 26 მაისს გასულ წელს გამოვაცხადეთ საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად. სანამ გამოვაცხადებდით ხალხს უნდა შევკითხებოდით, მისი აზრი უნდა მოგვესმინა. საუბედუროთ, ისეთი ძნელი დღეები გვადგა, რომ ეს არ შეგვეძლო. შეკითხვა რომ დაგვეწყო, მის დათავებამდე თათრები მთელ საქართველოს წალეკავდნენ. ამიტომ ეს საქმე ჩვენ, სოციალდემოკრატებმა, სხვა პარტიებთან შეთანხმებით თავს ვიდევით და ჩვენი პასუხისმგებლობით ასეთი ნაბიჯი გადავდგით. გერმანია ამ აქტის გამო მოვიდა ჩვენთან და ოსმალთა შემოსევისაგან გადაგვარჩინა. ახლა ჩვენ მივდივართ ხალხთან და გვინდა მან სთქვას, სწორი იყო ჩვენი ნაბიჯი, თუ შემცდარი, ესე იგი მან დაადასტუროს ის, რაც ჩვენ გამოვაცხადეთ, ე. ი. მისცეს საფუძველი და სიმტკიცე, დასცეს დასტური იმ აქტს დამოუკიდებლობისა, რომელიც 26 მაისს საღამოს 4 საათზე იქნა გამოქვეყნებული. აი ამისთვის არის საჭირო დღეს დამფუძნებელი კრება.

ევროპის დიდი სახელმწიფოები გერმანია, ინგლისი და სხვები დაგვპირდნენ, რომ ისინი მიგვიღებენ ჩვენ, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და გვიცნობენ ევროპის სახელმწიფოთა ოჯახის წევრად. მაგრამ რომ მათ გვიცნონ, ჩვენ უწინ თვით უნდა ვიცნოთ ჩვენი თავი. და ეს ცნობა თავისთავისა ხალხს შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელ კრების საშუალებით. აი ამისთვის გვინდა დამფუძნებელი კრება.

ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ გვინდა რესპუბლიკა, რომელშიაც გამეფებული იქნება დემოკრატიული წყობილება, ე. ი. ხალხის, მუშების და გლეხების ბატონობა იქნება უზრუნველყოფილი და ეს უნდა დაიწეროს არა მარტო სახელწოდებაში, არამედ ძირითად კანონებში. ახლა უნდა დაიწეროს ისეთი წესები, რომლის მიხედვით შემდეგ იმოქმედებს მთავრობა და რომელსაც ვერავინ შეცვლის. ახლა უნდა მიეცეს ღასაბამი ხალხის მპყრობელობას, ამით იქმნება დამფუძნებელი ახალი სახელმწიფო, დემოკრატიული სახელმწიფო, დემოკრატიული წყობილებით, დემოკრატიული მართვა-გამგეობით.

მთელი რუსეთი ამას შესტრფოდა, მაგრამ ვერ ზიდა და ტვირთ ქვეშ ჩაიკეცა. საქართველოს დემოკრატიამ დღემდე ზიდა ეს ტვირთი და ახლა თავი უნდა დაადგას ორი წლის ნაშრომს, ორი წლის ნაბრძოლს.

აი ასეთი თავდადგმა შეუძლია დამფუძნებელ კრებას.

ვინც ამ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს, ის ამ ქვეყნის ბედის გადაწყვეტის მონაწილეა, ის ქვეყნის წინაშე თავის ვალის მომხდელია. ვინც გაექცევა ამ მოვალეობას, იგი ქვეყნისაგან გამოთიშულია.

სხვაც ბევრი საქმე აქვს დამფუძნებელ კრებას: გლეხების და მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება, სოფლის და ქალაქის საქმეების მოწყობა, თავისუფლების განმტკიცება. და ყველა ამაში უნდა ხალხმა მიიღოს მონაწილეობა.

აი ამ მიზნით იკრიბება დამფუძნებელი კრება.

დღეს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულია ჩვენი პლატფორმა, ე. ი. ჩვენი შეხედულება და სამოქმედო გეგმა დამფუძნებელ კრებაში, რომლიდანაც მკითხველი დაინახავს, რა გვაწუხებს, რა მოგვიწყვია უკვე და რის გაკეთებას ვაპირებთ დამფუძნებელი კრების საშუალებით.

აი ამ პლატფორმის განსახორციელებლად არის საჭირო, რომ დამფუძნებელ კრებაში მისცეთ ხმა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. მან მოიყვანა ჩვენი ქვეყანა დამფუძნებელ კრებამდე და მასვე შეუძლია საუკეთესოდ გაუძღვეს ხალხის საქმეს თვით დამფუძნებელ კრებაშიც.

---

მოქალაქენო! ქართველი ნაციონალ-დემოკრატები რეაქციას ემსახურებიან და მემამულეთა ინტერესებს იცავენ.

ხმა მიეცით მემამულეთა პარტიის წინააღმდეგ.

ხმა მიეცით სოციალდემოკრატიის სიას № 1.

## რას აძლევენ გლეხებს ჩვენი მოწინააღმდეგენი?

იმ კამათმა, რომელიც პარლამენტში გაიმართა აგრარულ კანონ-პროექტის განხილვის დროს, ერთხელ კიდევ ცხადი ჰყო ყველასთვის, რომ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას აქვს სურვილი და უნარი გლეხის ცხოვრების მოწყობისა, რომ სხვა პარტიები ან აშკარად მტრობენ გლეხობას, ან და წარმოდგენა არ აქვთ გლეხობის ინტერესებზე და თითქოს სეირის უცქერიანო, ისე ზევიდან დაჰყურებენ მას დარწმუნებული, რომ რასაც თითონ ფიქრობენ, გლეხობაც იმას ფიქრობს, რომ გლეხობას გააბედნიერებს ის რეცეპტები, რომელიც რუსეთის პირობების მიხედვით იქნა შემუშავებული.

თვად აზნაურობა რომ წინააღმდეგი იყო მიწის მიცემის, ეს ჩვენ დღემდისაც ვიცოდით და მათი ვექილის ბ. ვეშაპელის სახელით უნდა ითქვას, რომ მან მოურიდებლად უწოდა ყაჩაღობა მიწების ჩამორთმევის კანონს და მოითხოვა: მემამულეებს გაუდიდდეს დატოვების ნორმა, ხოლო ამ გადიდებულ ნორმას ზევით, რაც დარჩება, ის სახელმწიფომ გამოიყიდოს საბაზრო ფასებში და ასეთსავე ფასებში მიჰყიდოს გლეხობას. და თუ რამდენად დიდი ნორმის დატოვებას ფიქრობს მემამულეებისათვის მათი დამცველი ბ. ვეშაპელი, ეს სჩანს იქიდან, რომ მისი განცხადებით მხოლოდ ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებში შეიძლება მიწების ჩამორთმევაზე ლაპარიკი, სხვაგან კი მიწები არ არის და მაშასადამე არც უნდა ჩამოერთვას.

როგორ იქცევიან ის პარტიები, რომელნიც თავის თავს მშრომელ გლეხთა პარტიად თვლიან—სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ რევოლიუციონერები? ესენი ნაციონალ-დემოკრატებივით საჭიროთ არ თვლიან მემამულეებისათვის სასყიდლის მიცემას, არ მოითხოვენ დატოვების ნორმის გადიდებას. პირიქით, ისინი მუდამ იმას გაიძახიან, რომ საჭიროა ნორმის შემცირება, საჭიროა იმდენის დატოვება, რამდენის დამუშავება თითონ შეუძლია ამა თუ იმ პირს. ასე რომ ისინი არ კმაყოფილდებიან მსხვილი და საშუალო მემამულეებით და მოითხოვენ, რომ მიწები გლეხებსაც ჩამოერთვას.

აქვე უნდა ითქვას, რომ სოციალისტ ფედერალისტები მეტს ზომიერებას იჩენენ, ვინემ სოციალისტ-რევოლიუციონერები. ისინი, როგორც ეს პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა ბ. სამსონ ფირცხალავამ, მოითხოვენ რომ მიწა ჩამოერთვას უფასოთ ყველას, ვინც თვითონ არ მუშაობს მიწაზე (მ. 2), მაგრამ, წვრილ მესაკუთრეს, რომელიც თვითონ ან თავის ოჯახის შემწეობით მუშაობს თავის მიწაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოერთმევა მიწა საერთო კუთვნილებაში გადასაცემათ, თუ ამის თანხმობას განაცხადებს (მ. 3). სოციალისტ რევოლიუციონერები, როგორც ისეთი ხალხი, რომელიც არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობს არავის წინაშე, უფრო გაბედულნი არიან და თავის პროექტით, რომელიც პარლამენტში იქნა წაკითხული მათი ორატორის ბ. ნუცუბიძის მიერ, აცხადებენ: პირთა და დაწესებულებათა უფლება მიწაზე ხორციელდება მხოლოდ სარგებლობის სახით (მ. 5) და ამიტომ „კერძო პირთა, კავშირთა და დაწესებულებათა ამ ჟამათ კუთვნილი უფლებები მიწაზე, რამდენადაც ეს უფლებები ამ კანონს ეწინააღმდეგება, გაუქმებული იქნება (მ. 7).“ და რომ ნათელი იქნეს, თუ რას გულისხმობენ ესერები ამ მუხლში, საჭიროა მოვიყვანოთ მათი პროექტის პირველი მუხლი, რომელიც ამბობს: „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ყველა მიწები, ტყეები, წყლები და აგრეთვე ყოველივე ის, რაც მიწის წიაღშია, შეადგენს ამიერიდან და სამუდამოთ ხალხის საერთო ავლადიდებას“.

და რაკი ყველა მიწები და წყლები, ესერების პროექტით, საერთო ავლადიდებას შეადგენს სამუდამოთ, ცხადია კერძო საკუთრების უფლება მიწაზე ეწინააღმდეგება ამ პირველ მუხლს და ჩამორთმეული იქნება.

ასე აკმაყოფილებენ ესერები და ფედერალისტები გლეხობის მოთხოვნილებას მიწაზე: გლეხს ცოტა აქვს მიწა, ის მოითხოვს მემამულეების მიწებს, ესერები და ფედერალისტები კი ეუბნებიან მას: ხელი აიღე იმ მიწაზედაც, რომელიც სისხლით და ოფლით შეგიძენია და სახელმწიფოს გადაეცი. რათა? რისთვის? ალბათ ეს უებრო სოციალისტები ფიქრობენ, რომ ჩამორთმეულ მიწებზე საერთო სოციალისტურ მეურნეობას მოაწყობენ.

ვართ ამისთვის მომზადებული, თანხმაა ამის გლეხობა, თუ არა—ამას ისინი არ დაგიდევენ.

## თფილისის მილიციის საქმეთა რევიზია

ძველმა რეჟიმმა მრავალი ცოდვა უანდერძა ახალ წყობილებას. ერთი ამათგანია—მექრთამეობა. ძველი რეჟიმი—ეს მექრთამეთა რეჟიმი იყო. ქრთამით ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა. პოლიციაში, ადმინისტრაციაში, სასამართლოში, მთავრობის უმაღლეს დაწესებულებებში და წრეებში ქრთამი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ის თითქოს ნებადართული იყო, ქრთამი ისეთი საშუალება იყო, რომლის წინაშე ყველა კარები იღებოდა და ამიტომაც ხალხი სამართლიანად ამბობდა: ქრთამით ჯოჯოხეთსაც გაანათებო.

ძველი რეჟიმი დაემხო. გაჰქრა ბევრი იმ მიზეზთაგანი, რომლებიც ხელს უწყობდენ ბოროტ-მოქმედებათა გავრცელებას. მოსალოდნელი იყო, რომ დემოკრატიულ წყობილებაში ძველი რეჟიმის თანამგზავრნი ბევრი ბოროტებანი მოისპობოდენ. სამწუხაროთ ეს არ მოხდა.

ამ ბოლო დროს მეტად გავრცელდა მექრთამეობა. განსაკუთრებით გაძლიერდა ის დაბალ ადმინისტრაციაში და ზოგიერთ დაწესებულებებში. ამ არა ნორმალურ მოვლენას, რასაკვირველია, თავის მიზეზები აქვს. ჩვენი ხანა—ეს არის ხანა გარდამავალი. ასეთი ხანა ბევრისათვის ის მღვრიე წყალია, სადაც დაუსჯელად შეიძლება ბლომად „თევზების დაჭერა“ და აი ისინიც უხვად სარგებლობენ ამ „ბედნიერი შემთხვევით“. ჩვენი ცხოვრება ჯერ კიდევ არ არის ისე კარგათ მოწყობილი, რომ შეიძლებოდეს ყოველგვარ დამნაშავეთა აღმოჩენა და დასჯა. ამით სარგებლობენ ბოროტმოქმედნი და ერთი მეორეს ეცილებიან ბოროტებათა ჩადენაში.

ასეთ გარემოებას არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცეოდა და აი მთავრობის თავმჯდომარემ, 14 იანვარს, დაარსა სპეციალური კომისია თფილისის მილიციის საქმეთა სარევიზიოთ. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას და, უნდა ვიფიქროთ, ის შესძლებს ნაკისრი მოვალეობის პირნათლად შესრულებას. მაგრამ, რომ მან ეს შესძლოს, ამისთვის აუცილებელია საზოგადოების დახმარება. საზოგადოება ღრმად დაინტერესებულია იმაში, რომ მილიცია თავის სიმაღლეზე იდგეს, ის ებრძოდეს ბოროტ-მოქმედებას და არა თვითონ ჩადიოდეს მას. ამიტომ „ბოროტების ძირშივე აღმოსაფხვრელად და დამნაშავეთა „დასასჯელად“, როგორც ამას მთავრობის თავმჯდომარე აცხადებს, საზოგადოება მოვალეა დაეხმაროს კომისიას და მიაწოდოს მას ყოველგვარი ფაქტიური მასალა და ცნობები მოხელეთა მიერ ჩადენილ უკანონო მოქმედების შესახებ.

ჩვენ გვჯერა, რომ საზოგადოება გამოიჩენს შესაფერ მოქალაქობრივ გამბედაობას და ასე ხელს შეუწყობს ჩვენი ადმინისტრაციის გაჯანსაღებას...

## უკანასკნელი ცნობები

**სოჩი.** მემარჯვენე ელემენტები აქ ადგენენ ნაციონალურ საბჭოს. დემოკრატია არ მონაწილეობს. სოჩის ოლქის მოხალისეთა ჯარის მიერ დაჭერილი ადგილებიდან საქართველოს მთავრობის და ინგლისის მისიის სახელზე მოდის პეტიციები დაიცვან მცხოვრებნი მოხალისეთა ძალმომრეობისგან. სოჩის მუშათა კავშირმა გამოსთქვა აზრი დაიხუროს ყველა ნაციონალური საბჭოები.

ეკატერინოდარში ძლიერ გავრცელებულია ტიფი. ეპიდემიამ რამოდენიმე ათასი კაცი იმსხვერპლა. ფიქრობენ დაითხოვონ მოწაფენი და დახურონ გასართობი ადგილები. ეპიდემია გავრცელებულია ფრონტზე და სოფლებში. განსაკუთრებით ძლიერია ის სტავროპოლში. 35 ექიმისგან 18 ავადაა ტიფით. სანიტარები გაიქცნენ. ავადმყოფობა განსაკუთრებით მძვინვარებს ლაზარეთებში, სადაც დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცებია მოთავსებული.

---

მუშებო! ომიანობის ხანაში ყველგან მუშებმა ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებული დაჰკარგეს.

სოციალდემოკრატიამ საქართველოში მოიპოვა 8 საათის სამუშაო დღე.

ხმა მიეცით მუშათა პარტიის სიას № 1.

## მორიგი პროვოკაცია

დაიხურა საქართველოს წინააღმდეგ პროვოკატორულ მოქმედებაში განთქმული „კავკაზსკოე სლოვო“, მაგრამ ახალი გაზეთი გაჩნდა—„ზაკავკაზსკოე სლოვო“, რომელიც აგრეთვე ჰფიქრობს ძველი, პროვოკაციის გზით სიარულს.

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში თელავიდან ცნობა იყო მოთავსებული კომისარ არონიშიძის მიერ გამოგზავნილი, რომ მან თელავის სადგურზე სამხედრო მინისტრის გაცილების დროს დაიჭირა სასროლი ყუმბარით ხელში ფედერალისტების პარტიაში მოსამსახურე, მუხრაძე.

„ზაკავკაზსკოე სლოვო“-მ ეს ცნობა გუშინდელ ნომერში გადაბეჭდა ჩვენი გაზეთიდან და ასეთი სათაური გაუკეთა დიდ ასოებით: **სამხედრო მინისტრის გიორგაძის მოკვლის განზრახვა.**

ჩვენს ცნობაში გიორგაძის გვარი არ ყოფილა მოხსენებული. არ ყოფილა ნათქვამი ფედერალისტების პარტიაში **მყოფი** მუხრაძე, არამედ—იწერა ფედერალისტების პარტიაში **მოსამსახურე**.

რატომ ეს ცნობა გადაბეჭდა ასე გულმოდგინეთ „ზაკავკაზსკოე სლოვო“ მ, რატომ დაამახინჯა მისი შინაარსი, რატომ მიუთითა გიორგაძეზე?..

რომ რაიმე მოაწყონ, მოახდინონ ასეთი აქტი—ამ გაზეთს „საბუთი“ მზად ექნება:

ეს ასეც იყო მოსალოდნელი, აკი თელავში თავს დაესხა სამხედრო მინისტრს.... ფედერალისტების პარტიის წევრიო და სხ.

პროვოკაციით, შოვინიზმით ედგა სული ამ გაზეთის წინაპარს, ასევე ფიქრობს ცხოვრებას მისი მემკვიდრეც...

## ინგლისელები ჩვენში

**ხაშ. ხუფსა, 17 იანვარი.**

წუხელის საღამოს 4 საათზე ბათუმიდან გამოიარა ინგლისელთა სამხედრო მატარებელმა (№ 150). აფიცერთა ვაგონში ჩვენ შევნიშნეთ ათამდე რუსი აფიცრები, ამათგან სამი სომეხი იყო.

რამდენიმე აფიცერს გამოჩენილად ეკერათ მკლავზე ალექსეევ-დენიკინის მოხალისეთა ჯარის სამ-ფეროვანი ნიშანი. მცხოვრებნი გაკვირვებით უყურებდნენ ამათ და კითხულობდნენ: სად მიდიან ეს ყაჟ-ყორანთა მოციქულნიო?

ვინ არის ეს სამ ფეროვან ნიშანიანი აფიცერიო, შეეკითხა ინგლისელ აფიცერს მატარებლის წასვლის დროს ერთი თანამდებობის პირი.

ეს ჩვენი თარჯიმანი არისო, მიუგო ინგლისელმა. სწორეთ ათი წუთის წინ, როცა მე ვაგონში ავედი და თარჯიმანი მოვითხოვე, რადგანაც ჩემს მოსაუბრე ინგლისელ აფიცერს ფრანგული ცუდათ სცოდნოდა, მან მითხრა: თარჯიმანი არა გვყავსო.

ღამის 9 საათზე მოვიდა მეორე სამხედრო მატარებელი (№ 152). მოსულმა სარწმუნო პირმა შემდეგი გადმოგვცა: ამ მატარებელში ათიოდე რუსი აფიცერი ჩაგვეჯდა ბათუმში; მე მათ სათანადო ნებართვის შესახებ შევეკითხე, მაგრამ სიცილი დაიწყესო. სადგ. ნატანებში კი ჩვენმა კომენდანტმა გადმოაბრძანა რვა იმათგანი და დააკავაო.

როცა 8 იანვარს ინგლისელ მაიორს ვკითხე მატარებელში რუსი პოლკოვნიკების, ამ „შემთხვევითი მგზავრების“ ყოფნის მიზეზი, ბ-მა მაიორმა ასე მითხრა: აქ სუფსაში მიწამამულები აქვს ბატონ ონისიმოვს, რომელიც ახლა ბათუმის „ცხრ თა საბჭოს“ წევრი არის; ესენი ამ მიწების მოზიარენი არიან და უნდოდათ გაეგოთ, თუ „რა მდგომარეობში არის ეს მიწებიო“! მაგრამ [illegible] მოვმა არ იცის თუ რა [illegible] დიდ მამულებს?

უცქერის ჩვენი ხალხი ამ სურათს და როგორც თავის თავს, ისე სხვებსაც სამართლიანად ერთს კითხვას აძლევს: ვინ მოდის ჩვენში—ინგლისი, თუ რუსეთის რეაქცია, რუსეთის ჟანდარმიო?.. **გარდენ ჩხაიძე.**

## მოქალაქენო!

არ დაივიწყოთ, რომ საარჩევნო სიების შესწორება-შევსების ვადა გადის 23 იანვარს, საღამოს სწორედ 9 საათზე.

ორი დღე—22 და 23 იანვარი, საკმაო დროა იმისთვის, რომ არ დაჰკარგოთ საარჩევნო ხმა!

მიდით, გაიგეთ უბნის საარჩევნო კომისიაში—ხართ სიაში შეტანილი თუ არა.

ნუ დაკმაყოფილდებით იმით, რომ თქვენს ეზოში აღმწერლები იყვნენ და თქვენ ჩაგწერეს.

საკუთარის თვალებით უნდა დარწმუნდეთ, რომ სიაში შეტანილი ხართ!

ამიტომ თითონ უნდა გადაათვალიეროთ სიები.

## საქალაქო არჩევნებისათვის

**ტრამვაელთა აზრი.**

20 იანვარს შესდგა ქალაქის ტრამვაის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის სხდომა. გამგეობამ გაარჩია ქალაქის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოტანილი პროტესტი ქალაქის საბჭოს და დამფუძნებელი კრების არჩევნების გამო და დაადგინა:

1) ენერგიული პროტესტი განუცხადოს ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს ამ გვარი ანტი დემოკრატიული გამოსვლისა და დემოკრატიულ საბჭოსადმი აშკარა მტრული დამოკიდებულებისათვის.

2) შეწყვეტილ იქნას ყოველგვარი კავშირი ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტთან, არავითარი ანგარიში არ გაეწიოს ამ კავშირს, როგორც ბურჟუაზიული სულისკვეთებით გაჟღენთილს, რომელიც არ სდგას კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე—იმ დრომდე, ვიდრე ქალაქის თვითმართველობის დემოკრატიული ნაწილის მიერ არ იქნება შედგენილი დემოკრატიული პროფესიონალური კავშირი.

3) ეთხოვოს ქალაქის გამგეობას არ დაუკავშიროს ისეთი საკითხები, რომლებიც ტრამვაის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს შეეხება, ქალაქის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს.

---

საქ. სოც. დემ. პარტიის მეოთხე რაიონის კოლექტივი აუწყებს პარტიის წევრებს და თანამგრძნობთ, რომ ქალაქის საბჭოს არჩევნების ცნობების მიღებისა და აგრეთვე იმ მოქალაქეთა სიებში შეტანის შესახებ, რომლებიც გამორჩნენ, უნდა მიმართონ პარტიულ საარჩევნო კომისიებს შემდეგის მისამართით:

1) ოლღას ქ. № 29, პირველი სამილიციო უბანი 4—7 საათამდე.

2) ძუკოვის ქ. № 9 მეოთხე რაიონის მეცორე კოლექტივის ბინა—12—2 და 5—7 საათამდე.

---

მოქალაქენო! ბოლშევიკებისა და რეაქციონერების წყალობით მთელი რუსეთი აოხრეს, ქალაქები დაანგრიეს და ააწიოკეს.

საქართველოში სოციალდემოკრატიამ იხსნა ყველა ქალაქი დარბევა-აწიოკებისაგან.

ხმა მიეცით სოციალდემოკრატიის სიას № 1.

## დამფუძნებელი კრების გარშემო

**საარჩევნო სამზადისი.**

**საგარეჯოში** 19 იანვარს, მრავალ-რიცხოვან მიტინგზე ერთხმად დაადგინეს: ხმა მიეცეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ სიას დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

**ხონი.** დამფუძნებელი კრების საარჩევნო სიების შედგენა დასრულდა. სიები გამოქვეყნდა, რაც ეცნობა მოქალაქეთ სათანადო განცხადებით.

# ჩვენი მდგომარეობა

როდესაც საზოგადოება, ერი დაყოფილია წოდებათ და კლასებათ, ბრძოლა მათ შორის მუდამ არსებობს, ხან მიღუნებულათ, ხან მწვავეთ.

რევოლიუცია წარმოადგენს ამ მუდმივი ბრძოლის უკიდურეს განვითარებას. ერთის თვალის გადავლებით, რომ დავაფასოთ რუსეთის რევოლიუცია, დავინახავთ, რომ ის წააგავს ხანგრძლივ ომს. მასა ჰქონდა დიდი მიზანი; საომარ ასპარეზზე გამოვიდნენ სხვადასხვა კლასები და პარტიები. მათ ჰყავდათ თავისი ჯარი, თავისი სარდლები, ჰქონდათ თავისი გეგმა და ხაზი ბრძოლისა.

მიუდგომელი და პირუთვნელი ისტორიკოსი აუცილებლათ იტყვის, რომ საუკეთესო სარდლები გამოვიდნენ სოციალდემოკრატიის შორიდან და ესენი არიან ჩვენი ბელადები.

რუსეთის დღევანდელი სურათი ცხადათ უმტკიცებს ყველას, რომ ერთათ ერთი სწორი და მეცნიერულათ ჩამოყალიბებული სარევოლიუციო გეგმა მხოლოდ ჩვენი პარტიის ბელადებს ჰქონდათ შემუშავებული.

რევოლიუციის ქარცეცხლი საუკეთესო გამოცდაა ყოველი პარტიისათვის. აქ აშკარავდება ნამდვილი სულისკვეთება და აქვე გამოდის ნათელზე ავანტიურა, უტოპია, თუ სწორაზროვანება.

რევოლიუციამ ბევრს დაასხა თავზარი და სურია გზა-კვალი. ბევრი გადიჩეხა მეცნიერული ნიადაგიდან უტოპიურ უფსკრულში.

ასე დაემართათ ბოლშევიკებს.

რევოლიუციამდე სოციალიზმი მათ გამოჰყავდათ ეკონომიურ ურთიერთობიდან; მათ სწამდათ, როგორც მარქსისტებსა და სოციალდემოკრატებს, რომ სოციალიზმს წინ უნდა უძღოდეს შესაფერი ეკონომიური განვითარება. მათ იცოდნენ, რომ სოციალიზმს ადამიანის თავიდან ვერ წარმოშობ, ის თვით ცხოვრებამ უნდა წარმოშვას. რევოლიუციის პროცესში კი მათ დაივიწყეს ეს უტყუარი მარქსისტული შეხედულება და გზა და სოციალიზმი შემოქმედებათ გამოაცხადეს,—თავი და თავი სურვილია, ბრძოლა—და არა ეკონომიური პირობებიო.

მათ დაიწყეს ბრძოლა, აიყოლიეს შეუგნებელი ხალხი და სოციალიზმის მაგივრათ მთელი რუსეთი დაღუპეს, რევოლიუცია და მისი მონაპოვარი წყალს გაატანეს.

მხოლოდ ჩვენმა ბელადებმა არ დაჰკარგეს სწორი გზა და რევოლიუციის უკიდურეს საფეხურებზედაც კი ჭეშმარიტ მარქსისტებათ დარჩნენ.

რევოლიუციის ტალღები აბნელებენ მეცნიერულ აზროვნებას და ფრთებს ასხამენ გატაცებას, უნიადაგო ოცნებებს.

ჩვენი ბელადები რევოლიუციის ტალღებშიაც მეცნიერულათ მოაზროვნენი დარჩნენ და ამან მეტათ დიდი ნაყოფი გამოიღო.

როგორი იყო მათი გეგმა რევოლიუციის ხანაში და მათი ხაზები ბრძოლისა?

რევოლიუციას მოელოდა საფრთხე, როგორც გარედან, ისე შიგნიდან. მაშასადამე, საჭირო იყო მოკავშირენი, როგორც გარეთ, ისე შიგნით. გამაგრება საერთაშორისო ფრონტის, გამაგრება ამავე დროს მთელი რუსეთის ფრონტისა,—აი რა დაისახეს მიზნათ ჩვენი პარტიის ბელადებმა.

საერთაშორისო ფრონტისათვის სხვათა შორის საჭირო იყო, რომ რუსეთის დემოკრატია არ გამოჰყოფოდა შეთანხმების სახელმწიფოთა დემოკრატიას. ამისათვის კი აუცილებელი იყო, რომ რუსეთი არ გამოთიშულიყო ომის გზაზე შეთანხმების სახელმწიფოთაგან.

შინაური ფრონტისათვის კი საჭირო იყო, რომ ყველა პარტიებს, ვისთვისაც რევოლიუციის გამარჯვება მიზანი იყო, გამოენახათ გზა შეთანხმებისა და ერთად მოქმედებისა.

ეს იყო ორი ფრონტი ანუ ორი ხაზი რევოლიუციისა.

ბოლშევიზმის გამარჯვებამ რევოლიუცია ორივე ამ ხაზზე დაამარცხა. რუსეთის დემოკრატია არა თუ ჩამოშორდა საერთაშორისო დემოკრატიას, ის შიგნითაც დაიქსაქსა ერთი მეორის სამტრო საწინააღმდეგო ნაწილებათ.

ნიჭიერ სარდალს ყოველთვის აქვს რამდენიმე ხაზი ბრძოლისა. თუ ის დამარცხდა ერთ ხაზზე, იხევს და მაგრდება მეორეზე. თუ აქაც დამარცხდა, მაგრდება მესამეზე და სხვ.

ასეთი სარდლები რუსეთში მხოლოდ ჩვენი ბელადები აღმოჩნდენ.

როცა ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს რუსეთის დემოკრატიის მოუმზადებლობისა გამო, ჩვენმა ბელადებმა დაიხიეს უკან და გამაგრდენ მეორე ხაზზე—ამიერ კავკასიის ხაზზე.

ამიერ-კავკასიაში სამი მთავარი ერია: ქართველები, თათრები, სომხები. ამიერ-კავკასიის ხაზზე რომ გამაგრებულიყო რევოლიუცია და გაემარჯვნა მას, ამისათვის რა იყო საჭირო?

საჭირო იყო, რომ ყველა ამ სამ ერს შეთანხმებული პოლიტიკა ეწარმოებინა.

ამიერ-კავკასიის ხაზზე დგომის მეორე დღესვე გამოაშკარავდა, რომ ეს შეუძლებელი იყო.

ჩვენი მეთაურები ყველაზე უკეთ ჰხედავდნენ ამას, მაგრამ, თუ მიუხედავათ ამისა ისინი მაინც ცდილობდნენ ამ ხაზის გამაგრებასა და დაცვას, იმიტომ რომ ამას მოითხოვდა სწორი, სადი პოლიტიკა და სრული პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე.

საჭირო იყო ყველა საშუალებათა ამოწურვა რევოლიუციის გადასარჩენათ და კარგი პოლიტიკოსი ვერ უარჰყოფს ვერც ერთ საშუალებას, რომელიც კი იძლევა თუნდაც სულ მცირე იმედს გამარჯვებისას.

საქართველოში ძლიერია დემოკრატია და ის უმთავრესათ მისდევს სოციალ დემოკრატიას.

თათრებში ძლიერია ბეგები და სამღვდელოება, რომელთა სულისკვეთების გამომხატველია მუსავატის პარტია. სომხებში უპირველეს როლს თამაშობს ბურჟუაზია და სამღვდელოება, რომელთა მეთაურია დაშნაკცუტიუნის პარტია.

დემოკრატიამ, ბეგებმა, სამღვდელოებამ და ბურჟუაზიამ რომ ერთნაირი პოლიტიკა აწარმოვონ, ეს ყოვლად შეუძლებელი რამ არის.

ამიტომ ამიერ-კავკასიის ხაზი მეტათ სუსტი გამოდგა. თუ სოციალ-დემოკრატია მთელ თავის ძალას ხარჯავდა ამ ხაზის გასამაგრებლად, მუსავატი და დაშნაკცუტიუნი მთელ თავის ღონეს ამ ხაზის მოშლას ანდომებდა.

ჩვენი პარტია იძულებული გახდა დაეხია და გამაგრებულიყო მესამე და უკანასკნელ ხაზზე. ეს ხაზია საქართველოს გარშემო.

თუ აქაც დამარცხებულიყო ჩვენი პარტია, რევოლიუციის ბედი საბოლოოთ დაიღუპებოდა და ქართველი ერი და საქართველოს მცხოვრებნი უნდა გამოსთხოვებოდნენ რევოლიუციის ყველა მონაპოვარს.

სწორეთ აქ გამოიჩინა ჩვენმა პარტიამ უდიდესი სიბრძნე, როგორიც კი ოდესმე გამოუჩენია რომელიმე პოლიტიკურ პარტიას.

სწორეთ აქ გაიღო ჩვენმა პარტიამ უდიდესი მსხვერპლი, რომელზე მეტი მსხვერპლის გაღება არ შეუძლია არც ერთ პარტიას. ერის ინტერესი—და არა მარტო ერისა, არამედ მთელი საქართველოს ინტერესი—პარტიის ინტერესზე მაღლა დააყენა სრულის თავის შეგნებითა და პასუხისმგებლობით; და ამით საქართველო გადაარჩინა ქაოსებრივ, ზნეობრივსა და სულიერ განადგურებას, პარტია კი უფრო აამაღლა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი უდიდესი აქტია საქართველოს ისტორიაში.

მაგრამ ეს აქტი კიდევ უფრო დიდებულია, როდესაც მას ადასტურებს სოციალ დემოკრატია.

ამ აქტით საქართველომ მოიპოვა სრული თავისუფლება და ჰპოვა თვისი სოციალ-დემოკრატია. სოციალ-დემოკრატიამ ჰპოვა თავისი სამშობლო.

ამგვარათ აშკარა შეიქნა, რომ გზა ინტერნაციონალისაკენ ნაციონალიზმზე მიდის.

ივ. გომართელი.

(დასასრული იქნება).

# „პრიაზოვსკი კრაი", ანუ ფინანსიური კაპიტალი

ძნელათ თუ მოიპოვება ისეთი ქართველი, რომელიც ჟურნალ-გაზეთებს თვალყურს ადევნებდეს და გაზეთ „პრიაზოვსკი კრაი"-ს სახელი არ გაეგონოს.

დიდიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა ეს ერთად ერთი გაზეთია რუსეთში, რომელიც სისტემატიურად სთხზავს და ავრცელებს ჩვენს შესახებ წარმოუდგენელს ცილის წამებას, ჭორებს და ამით ამზადებს, რამდენათაც ძალა შესწევს, საზოგადოებრივ აზრს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამ გაზეთის ფურცლებზე ჩვენ სხვებზე უფრო ხშირად გრ. ჩალხუშიანის გვარს ვხვდებით, ის გამოდგა ყველაზე უფრო დაუღალავი მსროლელი, რომელსაც ნიშანში ჰყავს ამოღებული საქართველო და მისი დემოკრატია.

მაგრამ შემცდარი ვიქნებოდით თუ ვიფიქრებდით, თითქოს მარტო გრ. ჩალხუშიანის, როგორც სომეხი შოვინისტის ჟინის ბრალი იყოს ამ გაზეთის კამპანია საქართველოს წინააღმდეგ!

ამ გაზეთის ტონის მიმცემია ფინანსიური და აგრეთვე სამრეწველო კაპიტალი. ეს გაზეთი იბრძვის მთლიანი რუსეთისათვის, იცავს მას.

ამ გაზეთის პატრონი კაპიტალისტები მილიონობით ფულებს გადასდებენ, რომ პალესტინაში ებრაელთა სახელმწიფო მოეწყოს და ოსმალეთ-კავკასიაში—სომხეთის, მაგრამ იგივე კაპიტალი არაფერს არ დაიშურებს, რომ სხვა რომელიმე ერმა რუსეთში, მით უმეტეს ქართველებმა, რაიმე სახით თავისუფლება არ მიიღონ, ვინაიდან ეს დააქუცმაცებდა მთლიან რუსეთს და, მაშასადამე, ამ კაპიტალის სამოღვაწეო ასპარეზს შეავიწროებდა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც დონის როსტოვში კაპიტალისტთა ერთი ჯგუფი გაჩნდა, რომელმაც მიზნათ დაისახა რუსეთის სახელმწიფოს მეურნეობის რამდენიმე თვალსაჩინო დარგის დაპყრობა.

ეს იყო საერთაშორისო ომის დაწყების წინ, თვითმპყრობელობის დროს. უნდა ითქვას, რომ კაპიტალისტთა მცირე ჯგუფმა, რომლის „იაჩეიკა", როგორც ვთქვი, როსტოვში იყო, ეს ჩინებულათ შეასრულა.

როსტოვის ვაჭართა ბანკის და შემდეგ რუსეთ აზიის ბანკის საშუალებით კაპიტალისტთა ეს ჯგუფი უეცრად გახდა მთელს რუსეთში „თუთუნის კოროლი". პეტროგრადში დაარსებული „სავაჭრო-საექსპორტო სააქციონერო საზოგადოების" სახით მათ ხელთ იგდეს მთელს რუსეთში ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო თუთუნის ქარხნები და შეუდგნენ, როგორც ნედლი მასალის განაწილებას ამ დარგში, ისე მის დამუშავება—ბაზარზე მიწოდებას. ისინი გახდნენ მბრძანებლები არა თუ თუთუნის ქარხნებში, არამედ—ამ „პლანტაციებში", საიდანაც რუსეთის და აგრეთვე, რამდენიმეთ, უცხოეთის ბაზარი იკვებებოდა. გამეფდნენ ყუბანის და სოხუმის ოლქების თუთუნის „პლანტაციებში".

შემდეგ დაეპატრონენ სამხრეთ რუსეთის ზეთის დასამზადებელ ქარხნებს—როსტოვში დაარსებული სააქციონერო საზოგადოება „სალომას"-ის საშუალებით.

ამავე დროს წაეპოტინენ ქაღალდის დამზადების საქმეს. ჩრდილოეთ რუსეთში, სადაც ხე-ტყე მრავლათ მოიპოვება, ამ ნიადაგზე მუშაობა გაჩაღდა. უკრაინაში თუ პოლონეთშიც შეიძინეს რამდენიმე მომქმედი ქაღალდის ქარხნები.

მრეწველობის ამ დარგებმაც ვერ დააკმაყოფილა ეს ჯგუფი.

აჟიოტაჟის და კურტაჟის საშუალებითაც მილიონებს იხვრიალებდნენ ჯიბეში. ბირჟაზე თამაშით,—ფასების აწევა-დაწევით, ყიდვა-გაყიდვით კარგათ მოითბეს ხელი.

ამ კომბინაციების დროს მეტად საიმედო საქმე გამოდგა მათ ხელში ლითონის საწარმოვო ქარხნები: მარიუპოლ-ნიკოპოლ-ტაგანროგ-იუზოვკისა.

სამრეწველო კაპიტალი დაფრთხა. შეიქნა მითქმა-მოთქმა. ფინანსიური კაპიტალის გაბატონება მრეწველობაში, მრეწველობას დასცემსო და სხ. ბრძოლაც დაიწყეს, მაგრამ რას გახდებოდნენ?!

ეს ჯგუფი მშვენივრად შეეგუა თვითმპყრობელობას. მაშინდელ შავრაზმულ, მთავრობის გაზეთებშიაც კი გაიჩინეს აგენტები. სახელმწიფო უმაღლეს დაწესებულებებში ხომ ისე დადიოდნენ, როგორც საკუთარ ქარხნებში ან ბანკებში.

ვის არ გაუგონია პეტროგრადის „სფერებში" „მოსაქმის" დ. რუბინშტეინის სახელი? ეს ამ ჯგუფთან ახლოს მდგომი პიროვნებაა?

რევოლიუციას რომ არ მოესწრო, ეს ჯგუფი სულ ადრე გახდებოდა რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრების ყველა ძარღვის ბატონ პატრონი. რევოლიუციამ ეს მათ არ დააცალა, რუსეთი დაინგრა და ახლა ისე, როგორც თვითმპყრობელი ბიუროკრატები ცდილობენ პოლიტიკურად გასაბატონებლათ, ისე ეს ჩვენი ნაცნობი ფინანსიური კაპიტალი ცდილობს ეკონომიურად გასამეფებლად.

მიზანი ამ ორი ჯგუფის ხალხის ერთია: მთლიანი, განუყოფელი რუსეთი!..

გოლიათი იბრძვის და განა ისეთ პატარა კაცს, როგორიც საქართველოა, დაზოგავენ, შეიბრალებენ?..

მარტო ის ვერ მოუნელებიათ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სოხუმის ოლქს დაეპატრონა და, მაშასადამე, ნებას არ აძლევს ამ ხალხს ისე ითარეშონ თუთუნის სამეფოში, როგორც დღემდე. თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განმტკიცდა, მაშინ რუსეთის და რამდენიმეთ საზღვარგარეთის ბაზრების თუთუნით გამომკვები სოხუმის ოლქი მათი გავლენის გარეშე რჩება!

ეს აწიწმატებს მათ; ამიტომ ეხმარებიან ისინი გენ. დენიკინს, ამიტომ სურთ მათ საქართველოს დანგრევა. აქ გამოიყენეს მათ, როგორც სომხური შოვინიზმი, ისე გენ. დენიკინის მონარქიზმი.

და როდესაც ჩვენ მიტანილ წერილზე გვეუბნებიან „პრიაზოვსკი კრაი"-ში—ეს „საქმეს არ ეხება", ჩვენ საქართველოს მთავრობის მოქმედების კრიტიკას ვაწარმოებთ და კრიტიკის უარყოფა არ შეიძლებაო,—სახტათ ნუ დავრჩებით.

გავიგოთ რას, ან ვის ემსახურება ეს გაზეთი. თავი დავანებოთ იმაზე ფიქრს და ოცნებას, თითქოს ამ გაზეთის საშუალებით საზოგადოებრივ აზრს ჩვენდა სასარგებლოთ ავამუშავებდეთ. ჩვენ ამ გაზეთს და მის მსგავსთ ვერ მივუდგებით.

საერთოდ ძნელია რუსეთში საზოგადოებრივი აზრის შესამუშავებლათ მუშაობა. მოსყიდვის გზას დემოკრატია ვერ დაადგება. ისეთი სადი დემოკრატიული მოძრაობა, როგორიც საქართველოშია, რუსეთში ან სრულიად არ არის, ან თუ არის—ჯერ ჯერობით მეტად სუსტია, მისი ხმა არ ისმის, მას არაფრიში არავინ არ უწევს!

დარჩა—კომუნისტური და მონარქიული მიმდინარეობანი,—ორივე ჩვენი საწინააღმდეგო.

ამიტომ, შიგნით გამაგრება, შეგნება იმის, რასაც ვკეთებ, რომ ის არის სამართლიანი საქმეა და მტერ-მოყვარეთა გარჩევა—აი რა მოგვანიჭებს გამარჯვებას!

თუ ასე მოვიქცევით, ჩვენთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს არც როსტოვის და არც რუსეთის სხვა ქალაქებში ჩვენს საწინააღმდეგოთ დაბეჭდილი ლვარძლით და ცილისწამებით აღსავსე წერილები.

გ. მ.

ქ. თფილისის მეღვინეთა კავშირის გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას კავშირის წევრის

## ალექსანდრე მარტინის ძე მარტიროსოვის

გარდაცვალებას, ამასთან ერთად გამგეობა სთხოვს კავშირის წევრებს, რათა დაესწრონ მიცვალებულის გამოსვენებას და მით პატივი სცენ მის ხსოვნას.

გამოსვენება მოხდება დღეს, ოთხშაბათს, დილის 10 საათ. საკ. ბინიდან (ერმიაძინის ქ. № 23).

ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო გულითადის მწუხარებით აცხადებს, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მსახიობი და კავშირის წევრი

## ვალერიან შალიკაშვილი

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 23 იანვარს გურიაში, ს. აკეთს მაცხოვრის ეკლესიის სასაფლაოზე. ქ. თფილისს კი იმავე დღეს დანიშნულია პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში ნაშუადღევის 2 საათზე. (2—1).

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

21 იანვარი.

### ინგლისის პრესის ცნობები.

ოსმალეთის მიერ დროებითი ზავის პირობების ხელის მოწერის 11 თვის შემდეგ სამღვთო-ქალაქი მედინა ინგლისის მოკავშირე არაბეთის შეიხ გედჟასის ჯარს დანებდა.

დროებითი ზავის მე-16 პუნქტი ოსმალებისაგან მოითხოვს გედჟასში მყოფ გარნიზონების ჩაბარებას. მედინის გარნიზონმა უარი განაცხადა ხელშეკრულების პირობის ასრულებაზე, ამიტომ ქალაქი იერიშით აიღეს, რომლის დროს ქალაქი დაზარალდა და განთქმული მეჩეთი, სადაც წინასწარმეტყველის კუბო ესვენა, დაინგრა.

დროებითი ზავის კომისიის მუშაობის ოფიციალურ ანგარიშის თანახმათ სამშვიდობო კონფერენციის პრელიმინარულ სხდომაზე, დილით 16 იანვარს განხილულ იქნა საკითხი რუსეთის მდგომარეობის შესახებ. მოხდა შეთანხმება, რომლის თანახმათ ყველა მთავრობებმა უნდა გააცნონ ერთი მეორეს ის საბუთები, რაც მათ განკარგულებაშია, რათა საერთოთ გამოარკვიონ საკითხი.

### ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. როტერდამი. 1 იანვარი, გოლანდიიდან იუწყებიან, რომ მოკავშირენი ჰფიქრობენ შესწყვიტონ სამხედრო მოქმედება პოლონელებსა და გერმანელთ შორის, რათა პოლონელების ჯარი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენონ. ისპანიაში მუშათა გაფიცვები ფართო ხასიათს ღებულობს. მკაცრ თვალყურს ადევნებდნენ ისპანიაში მცხოვრებ რუსებს. ნაუენი. 19 იანვარი. დამოუკიდებელთა გაზეთი „ფრეიხეიტი" ამტკიცებს, რომ ლიბკნეხტი მოკლა გულში მოხვედრილმა ტყვიამ. გვარდიის ცხენოსანთა დივიზია კი აქვეყნებს საექიმო გამოძიების დასკვნას, რომ ლიბკნეხტი ზურგში მოხვედრილმა სამმა ტყვიამ მოკლა.

### ფრანგული პრესის ცნობები.

კლემანსოს სიტყვა საზავო კონფერენციაზე. კლემანსო ერთხმად აირჩიეს საზავო კონფერენციის თავმჯდომარეთ. პრეზიდენტმა ვილსონმა, ლოიდ ჯორჯმა და სონინომ—განაცხადეს, რომ ისინი მადლობასა და აღტაცებას გრძნობენ კლემანსოსადმი, რადგან ის არის არა მარტო საფრანგეთის წარმომადგენელი, არამედ გამარჯვების ერთი უდიდეს მომწყობთაგანი.

კლემანსომ მადლობა გადაუხადა კონფერენციას პატივისცემისთვის და კონფერენციის მუშაობის მიზანი შემდეგნაირათ განმარტა: „ბ-ნ პრეზიდენტ ვილსონს უფლება ჰქონდა ავტორიტეტულათ განეცხადებია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა თავი მოუყრია მთელი დედამიწის კულტურულ ხალხთა წარმომადგენლებს. რამდენათ საშინელი იყო კატასტროფა, რომელმაც აოხრა საფრანგეთის ერთი უმდიდრესი ნაწილი, იმდენად ფართოდ უნდა იქნეს ანაზღაურებული ჩვენი ზარალი. მაგრამ ანაზღაურება უნდა იყოს არა ჩვეულებრივი, ე. ი. ზარალის ანაზღაურება, გაბედვით ვიტყვი, ყველაზე [illegible] კუთვნის, უნდა იყოს კეთილშობილური და პატიოსნური, რომელსაც ვეცდებით მივაღწიოთ, რათა ხალხებს ავაცილოთ თავიდან ის მონობის უღელი, რომელიც ტანჯვასა და გაპარტახებას აჩენს ხალხში და ართმევს მას მშვიდობიან პირობებში შრომის საშუალებას. ჩვენ გამსჭვალული ვართ ამ მაღალ და კეთილშობილური მისწრაფებით და უნდა ვიმედოვნოთ, რომ მიზანს მივაღწევთ. ის კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ გარკვეულ და უკვე მიღებულ იდეებით. მხოლოდ მთლიანობის შენარჩუნებით მივაღწევთ მიზანს. ჩვენ აქ მეგობრებათ შემოვედით და უნდა გავიდეთ, როგორც ძმები. აი ის აზრი, რომელიც მინდოდა გამომეთქვა. ყველაფერი უნდა დაუმორჩილოთ იმ აზრს, რომ საჭიროა მჭიდრო კავშირის შეკვრა ამ უდიდეს ომში მონაწილეობის მიმღებ ხალხთა შორის. აქ არის წარმოდგენილი ეს მთლიანობა და ახლა თქვენზეა დამოკიდებული მისი არსებობა მომავალში. საჭიროა, რომ ამის სურვილი იყოს ყველას ჩვენ გულში. როგორც უკვე ვუთხარი პრეზიდენტ ვილსონს, ამ მიზნის მიღწევამ არავინ არ უნდა იმსხვერპლოს. (დასასრული არაა)...

აღმასრულებელ კომიტეტის და პროფესიონალურ კავშირების პლენარულ სხდომაზე სვერდლოვმა აცნობა კრებას სოც.-რევოლ. მოლაპარაკების შესახებ და სთქვა, რომ ძველ დამფუძნებელ კრების წევრთა დელეგატები ვოლოპიანოვი და ივანოვი უკვე წამოვიდნენ მოსკოვისკენ.

მოსალოდნელია ებრაელთა ემიგრაცია ამერიკიდან. ისინი თავიანთ სამშობლოში ბრუნდებიან.

# ახალი ამბები

ნავთი. ბაქოდან საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი იტყობინება: დღეს ჩემის თავმჯდომარეობით გაიხსნა უწყებათა წარმომადგენლობის თათბირი, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ კერძო პირების მიერ ნავთის გატანა საქართველოში, ხელშეკრულობაში განზრახულ რიცხვში ჩასათვლელად (1 მილიონი ფუთი) შეიძლება სწარმოებდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ ექნათ გატანის ნებართვა საქართველოს ცენტრალურ სასურსათო საბჭოსაგან.

✦ **ბოროტმოქმედთა შეპყრობა.** სისხლის სამართლის მილიციამ დაიჭირა შემდეგი ბოროტ-მოქმედნი: შ. ესებუა, ნ. ბერიძე, ლ. გალუსტოვი, ოვ. აირაპეტოვი, რ. ყიფიანი, ნ. როსტომოვი, ი. ოდიშვილი, ოვ. ამაზასპოვი, ა. ლალაიანცი. ა. ტარივერდოვი, ი. ჩატალბაშევი, ა. აკოპოვი, ბ. პიროევი, ვ. ვართანოვი, ლ. დულგარევი, ვ. იაროვი და მ. პოლოსოვი. ამათ ბრალდებათ ანტონოვის გაძარცვა და 100,000 მ. ფულისა და ნივთების წაღები და აგრეთვე სიმონიანცის გაძარცვა და 250,000 მ. წაღება.

✦ **განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ბათუმში.** ამ დღეებში ბათუმში სახალხო განათლების სამინისტრო თავის რწმუნებულს გზავნის.

✦ **აძერბეიჯანის გზათა მინისტრი** დეპეშით ატყობინებს საქართველოს გზათა მინისტრს, რომ საჭიროა დაჩქარებით მოხდეს შეთანხმება რესპუბლიკათა შორის რკინის გზაზე გადაყვან გადმოყვანის შესახებ. გთხოვთ დაჩქარებით გამოგზავნოთ თქვენი წარმომადგენელი.

✦ **ადგილობის გამო** დღეს ვერ ვბეჭდავთ ქალაქის საბჭოს და პარლამენტის სხდომების ანგარიშებს.

✦ **დახმარება დაჭრილებს.** ქ. თფილისის საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფესიონალურმა კავშირმა ომში დაჭრილებს შესწირა სამი ათასი მანეთი.

✦ **ლექცია.** დღეს, 22 იანვარს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) სერ. ჟორჟოლიანისა „ქართული მწერლობის ისტორია", 2) ალ. წუწუნავას „ხელოვნების წარმოშობა".

**კრებები.**

— დღეს, დღის 8 საათზე, მეოთხე რაიონულ (ძვილებურ ბიუროს ბინაზე) დანიშნულია სასწრაფო სხდომა ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საფინანსო კომისიისა.

# მასწავლებელთა გარშემო

სახალხო განათლების მინისტრს პარლამენტის სოც.-დემ. ფრაქციამ შემდეგი წერილით მიმართა.

პარლამენტის სოციალ დემ. ფრაქციის ბიურო მიაქცევს თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მატერიალური მდგომარეობა უმაღლეს პირველ დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა მეტად აუტანელია. უმაღლეს პირველ დაწყებით მასწავლებლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი იღებენ საშუალო რიცხვით 325 მ. თვეში და საშუალო სკოლის მასწავლებლები 400—550 მან. თვეში, რაც ნათლად მოწმობს მათ უმწეო მდგომარეობას. მასწავლებლები დიდი ხანია მოთმინებით ელიან კანონ-პროექტს მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ, როგორც ვიცით, იგი დღემდის არ გატარებულა პარლამენტში.

აღნიშნავს რა ამას ს. დ. ფრაქციის ბიურო გთხოვთ დაუყონებლივ, ერთი კვირის განმავლობაში, წარმოადგინოთ სათანადო კანონ-პროექტი, რომ ამ თვეშივე იქნეს ეს კანონ-პროექტი პარლამენტში გატარებული".

## ჩვენი ჯარისათვის

საქართველოს რესპუბლიკის მეომართა დამხმარე კომიტეტში შემოვიდა შემოწირულება ფულით: 1) მეჯვრისხევის საზოგადოების კოოპერატივიდან—10,000 მ., 2) გორის საქალებო გიმნაზიიდან—2538 მან. 70 კ., 3) იტრიის საზოგადოებიდან—422 მ. 50 კ., 4) დავით ამირაჯიბიდან კლუბში შეგროვილი—300 მ., 5) გორის ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი"-დან—1738 მ. 80 კ., 6) ვანო გოგიშვილისაგან სუფრაზე შეგროვილი—490 მან., 7) კ. სალუქვაძისაგან—50 მ., 8) ელიზბარ კეიდიასაგან—50 მ., 9) ხაშმის საზოგადოებისან 340 მ., 10) ბარ. მაღალაშვილისაგან სოფ. მეტეხში შეგროვილი—156 მ., 11) კობიაშვილისაგან—10 მ., 12) სუმბათაშვილისაგან—10 მ., 13) ნინო გამყრელიძისაგან—10 მ., 14) ვანო მაჰავარიანისაგან—20 მ., 15) რევაზ ამილახვარისაგან—50 მ., 16) მესამე ქალთა გიმნაზიის მასწავლებელ-მოწაფეთაგან—1688 მ. 75 კ., 17) „საქართველოს რესპუბლიკის" მიერ შეგროვილი—4210 მ., 18) სამთო-ცხენოსანთა ბატარეისაგან ფრონტზე გამართული წარმოდგენის შემოსავალი—500 მან., 19) ა. ზაკრეევსკისაგან—150 მ., 20) ქ. ლანჩხუთის ინტერპარტიული კომისიისაგან—18,352 მ. 14 კ., 21) მეშვიდე ქალთა გიმნაზიის მასწავლებლებისაგან ერთი დღიური შემოსავალი და იმავე სასწავლებელში გამართული კონცერტისაგან—1990 მ. 10 კ.

---

„მეომართა დამხმარე" თელავის ქალთა კომიტეტმა მიიღო თელავის მაზრის კომისარ აროშინიძისაგან შემოწირულება ექვსას ოთხმოცი მან. (680 მ.) მათი თანხის გასაძლიერებლად, რისთვისაც ხსენებული „მეომართა დამხმარე" კომიტეტი ღრმად მადლობას სწირავს. ეს ფული კომისარ აროშინიძისათვის წარმოუდგენიათ მისი რწმუნებული მაზრის მილიციელებს, რომელთათვის უცნობ პირს მიუცია ქრთამათ.

ვთხოვთ სხვა რედაქციებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

„მეომართა დამხმარე" თელავის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო მთვარელიშვილი. მდივანი ეკატერ. ჭავჭავაძე.

## პროვინცია

**დ. ხობი.** (სამეგრელო). 12 იანვარს აქ მოხდა კრება ნოჯიხევის საზოგადოების და დ. ხობის მცხოვრებთა. კრება გაიხსნა 4 საათზე ამხ. პავლე დოლბაძეს თავმჯდომარეობით და მიხა იოსავას მდივნობით. კრების მიზანი იყო თათბირი საშუალო სასწავლებლის გახსნაზე. ამაზე მოხსენება გააკეთა ამ საქმის ინიციატორმა ვ. ქობულიამ. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა გახსნას საშუალო სასწავლებელი მთავრობის ნებართვით და დახმარებით. გახსნის გადაწყვეტის შემდეგ კრებამ ითათბირა სასწავლებლის ტიპზე. ერთხმად იქნა მიღებული საშუალო სამეურნეო სასწავლებლის გახსნა და ამასთან პარალელურად 4 უკანასკნელი კლასების გიმნაზიისა, ზოგად განათლების მსურველთათვის, თუ ეს მთავრობამ შესაძლებლად სცნო. იმედია მთავრობაც დაადასტურებს ამ დადგენილებას.

12 იანვარს აქ გაიმართა საღამო უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის სასარგებლოდ. დადგმულ იქნა 3 მოქ. დრამა: „შენი ჭირიმე" და „სიზმარი". იმღერა ადგილობრივ გუნდმა და გაიმართა აუქციონი, რომელმაც დასტოვა ათას ხუთასი მანეთი. სცენის მოყვარეებმა მშვენივრად შეასრულეს როლები. დარბაზშიც მშვენიერი წესრიგი იყო. ხალხი ბლომად დაესწრო. შემოსავალი 4 ათასამდეა.

ცეზარი.

---

**ს. იყალთო** (თელავის მაზრა). კახეთში გავრცელებულმა ახალმა ავადმყოფობამ „ისპანკამ" ბევრი ახალგაზრდა იმსხვერპლა. ს. იყალთოშიაც ასეთმა ავადმყოფობამ დიდი ზარალი მიაყენა გლეხკაცობას, უფრო კი მატერიალურის მხრივ.

ამ ავადმყოფობის დროს ბევრმა მოითბო ხელი. მოძღვარი თავისას არ იკლებდა, ექიმი და აფთიაქხანის მეპატრონე ხომ აძრობდნენ. სხვისა წუხილსა და ჩივილს ამათში არც ერთი არ დაგიდევდა.

რაც ხანი ამ სოფელში ეს ახალი ავადმყოფობა იყო ყველა ამათ საკმაოთ ისარგებლეს.

იყალთოში არსებობს ქსენონი და აი სწორეთ ამ ქსენონის გამგე ექიმმა ბაღდოევმა ყველაზე მეტათ ისარგებლა.

თვითეულ ავადმყოფის გასინჯვაში მანეთებს ალებით ხომ არა კმაყოფილდებოდა, ილებდა თუმნობით. ავადმყოფთან თუ წაიყვანდნენ სადმე მახლობელს სოფელში: ოქროხორხელ-ზემო ხოდაშენში, მაშინ ხომ ფულს არ აილებდა, უეჭველად 4—5 ლიტრა პურს იღებდა ავადმყოფის პატრონისაგან, ექონდა თუ არა, ამას არ დაგიდევდა.

ბოლოს ხორბლის ნაცვლად, ფქვილის აღება არჩია, რაიც სახლში უნდა მიეტანათ.

ეს არ იკმარა ხსენებულმა ექიმ ბაღდოევმა. თფილისიდან მოვიდა სწორეთ ამ დროს ვიღაცა ენი კოლოფოვი, პროვიზორი, რომელმაც მოიტანა ბლომათ წამლები და დაუწყო გაყიდვა ხალხზე. რომ უფრო მეტი გაეყიდნა მოტანილი წამალი ბატ. ენი კოლოფოვს, ეს უკანასკნელი შეთანხმებულა ექიმ ბაღდოევთან და ყველა ავადმყოფებს წამლებს უწერდა ენი კოლოფოვიდან.

ეს კარგი მოხერხება იყო ორივეს მხრივ: ქსენონში წამალი არ მოიპოვებოდა და მეტი რა გზა ჰქონდა ავადმყოფის პატრონს, რომ მამასისხლათ არ ეყიდნა ყოველგვარი წამალი, ოღონდ კი თავისი ავადმყოფი მოერჩინა. მიზნისათვის მიუღწევიათ კიდეც ორივეს. ენიკოლოფოვი ორ ცალს „პარაშოკს" — ასპირინისას, თუ ქინაქინისას თითო ქათამზე და ვარიაზე აძლევდნენ გაჭირვებულ ხალხს; ფულათ იშვიათად. ლიტრა პურებიც ულიათ ასპირინისა და სათფლე ჩაის მიცემაში.

ხალხი ამაზე ძალიან აღელვებულები იყვნენ, მაგრამ პირში მყოფთ ამისათვის არა სცხელოდათ.

რომ იტყვიან: სხვისა ჭირი, ღობეს ჩხირიო, სწორეთ ასე იყო. ხალხის გაჭირვების განხილვაში არც ერთი არ შედიოდა და აი სწორეთ ამის გამო ორივემ კარგა ბლომათ მოხვეტეს ფული და პური მთელს იყალთოს რაიონში „ისპიანიურ" სენის წყალობით.

ასეთი გაყვლეფვა და სპეკულიაცია ხდებოდა ქ. თელავის 3 და 4 ვერსის სიშორეზე. ამას ყურადღება არც ერთმა სამაზრო დაწესებულებამ არ მიაქცია, ეს კი არ ეპატიებათ.

ასეთსავე საქციელს მაზრაში ბევრგან ჰქონდა ადგილი.

ამ უკანასკნელ ხანებში ცოტა ყურადღებით ექცევა საერობო დაწესებულება წამლების მიწოდით არსებულ ქსენონებს.

აქვე აღვნიშნავ ერთგვარ შეცდომას, რასაც ადგილი ჰქონია ამ სოფელში.

აქ ამოურჩევნიათ საზოგადოების კომისრად ყოფილი მწერალი ლავ. ჩხიკვაძე, რომელიც თავისი წარსულით, როგორც ძველი მთავრობის დროს, ისე ეხლა არ არის სპეტაკი. რაღაცა ეჭვი გვეპარება, რომ ეს საზოგადოებას აერჩიოს.

ხოფლელი ამხანაგი.

## ს.-დემ. პარტიაში

**ოქმება თანხის ტრიალისა საქართველოს სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის თფ. კომიტეტის კასისა 1918 წლისა.**

**შემოსავალი.**

რჩებოდა პირველ იანვრისთვის 1918 წ. 12,586 მ. 44 კ.

1. საპროცენტო გადასახადი თფილ. კ—ტს 17,452 მ. 10 კ., 2. შემოწირულება 155 მან. 50 კ., 3. საარჩევნო ფონდის დარჩენილი ნაწილი 1,939 მ. 36 კ., 4. საკანცელარიო წიგნაკებიდან 270 მ., 5. დაბრუნებული ფული 122 მ. 40 კ., 6. პლეხანოვის ფონდი 1,426 მან. 20 კ., 7. შეცდომით შეტანილი გასავალში 10 მ., 8. გაყიდული ქაღალდი გაზ. „ბორბა" 406 მ., 9. ნაწილი ხარჯებისა, პლეხანოვის დღისთ. გაღებული ცენტრალურ კომიტეტისაგან 400 მ., 10. საწევრო ბილეთებიდან 6,923 მ. სულ 41,691 მან.

**გასავალი.**

1. სესხი მეოთხე რაიონს 2,500 მ., 2. საკანცელიარიო ხარჯები 538 მ., 3. სასტამბო ხარჯები 6,190 მ. 80 კ., 4. ჯამაგირი მოსამსახურეებს 9,260 მ 50 კაპ, 5. ინვენტარი 20 მ., 6. სამოქალაქო პანაშვიდი პლეხანოვის ხსოვნის 802 მ. 60 კ., 7. ამხ. იანევიჩის დახმარება 100 მან., 8. ხარჯი დამფუძნებელი კრებისათვის გაღებული 376 მ. 67 კ., 9. სესხი ცენტრალურ კომიტეტს 4,000 მ., 10. ცენტრალურ კ—ტის საპროცენტო გადასახადი 4,050 მ., 11 მოულოდნელი ხარჯები 1,139 მან, 12. ტელეფონი 122 მ. 50 კ., 13. წვრილმანი ხარჯები 31 მ, 14 მიმდინარე ხარჯები 975 მ. 20 კ., 15. გათბობა 596 მ. 75 კაპ. სულ 30,703 მ. 2 კ.

რჩება კასაში პირველ იანვრისთვის 1919 წ. 10,987 მ. 98 კ.

მდივანი: გ. სინაურიძე.

## ცნობები

ბაქოში იმყოფებოდა ტერენტი იოსების ძე კოპალეიშვილი 22 წლისა. როდესაც იქ შედგა ქართველთა მოხალისე რაზმი ისიც იქ ჩაეწერა. ისინი იყვნენ ტყვედ სამი თვე, როგორც გავიგე. ვთხოვ მის ნაცნობებს ან ამხანაგებს თუ იციან სად იმყოფება მაცნობონ ამ ადრესით: ფოთი, მეპერელის ქ. სახ. ცაგარეიშვილისა. ივლიანე იოს. ძე კოპალეიშვილს.

## განცხადებანი

**ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე**

**მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

---

**კბილის საექიმო კაბინეთები**

**თეოდორე საყვარელის ძე ცხომელიძისა**

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

---

**ექიმი ს. ა. ზაფრანი.**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

---

**ექიმი დ. ნ. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½ საათამდე, საღამოს 5—6 ½, მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

---

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**

(მუდმივი საწოლებით)

**ექიმი დონხინისა**

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

---

**ექიმი**

**კეკელია**

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყობთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ. 14—28.

---

**ექიმი**

**ა. ნ. შატილოვი**

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემინოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლოს).

---

**რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეთი**

**მედიცინის დოქტორის**

**გ. მერაბოვისა**

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა. მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ხარჯებს უფასოდ.**

---

**ზუგდიდის**

**სამაზრო ერობის გამგეობა**

**იწვევს ექვს მომრიგებელ მოსამართლეს მაზრის უბნებისათვის.**

თხოვნები და გავლილი სამსახურის საბუთები უნდა წარმოადგინონ ზუგდიდში ერობის გამგეობის სახელობაზე იანვრის დამლევამდე.

(4—1)

## თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

**საბჭოს არჩევნებისათვის.**

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომელნიც სცხოვრობენ თფილისში, ან აქვთ აქ შინაური მოწყობილება, ან დაკავშირებულნი არიან ქალაქთან რაიმე განსაზღვრული საქმით, რომ თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამომრჩეველთა სიები უკვე შედგენილია და საყოველთაოდ განსახილველად წარდგენილი იქნებიან მიმდინარე იანვრის 19, 20, 21, 22 და 23-ს დილის 9 საათიდან—საღამოს 9 საათამდე შემდეგ ადგილებში:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | საარჩევნო | უბ. | ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებელი, ოლღას ქუჩა, 52, სახლი მაჩაბლისა. |
| 2 | „ | „ | პირველი ვაჟთა გიმნაზია, გოლოვინის პრ. როზენის ქ. |
| 3 | „ | „ | მესამე ქალთა გიმნაზია, ბებუთოვის ქუჩა; |
| 4 | „ | „ | მანტაშევის ქარვასლა, სომხის ბაზარი № 62; |
| 5 | „ | „ | პუშკინის ქალაქის სასწავლებელი, ვარანცოვის ქუჩა; |
| 6 | „ | „ | ნადიკვრის თავშესაფარი; |
| 7 | „ | „ | ავლაბრის კლუბი, ზამთრის შენობა ავლაბრის კლუბ. |
| 8 | „ | „ | პირველი საკომერციო სასწავლებელი; |
| 9 | „ | „ | ქალაქის სასწავლებელი პეტრე დიდის სახელითა, ჩერქეზიშვილის ქუჩა 29. |
| 10 | „ | „ | სახალხო სახლი ზუბალაშვილებისა; |
| 11 | „ | „ | ნაძალადევის თეატრი, ჩერქეზიშვილის ქუჩა, |
| 12 | „ | „ | რკინის გზის სასწავლებელი, |
| 13 | „ | „ | საბურთალოს კომისარიატი, |

მოქალაქეთ, რომელნიც მოისურვებენ გაიგონ არიან თუ არა შეტანილნი საარჩევნო სიაში, უნდა მიმართონ ზემოთ ნაჩვენებ ადგილებში, სადაც იქნებიან განსაკუთრებულნი პირნი სიების ნაკლულობის და უსრულობის შესახებ განცხადებებით და საჩივრებით. განცხადებები და საჩივრები შეიძლება, როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად; განცხადებებს და საჩივრებს უნდა ახლდეთ საბუთის ქაღალდები საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის დამამტკიცებელი (პასპორტი, მეტრიკა, ნამსახურობის სია თავისი ან მამისა) ქართველები არ არიან ვალდებულნი წარმოადგინონ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა მეტრიკისა იმ შემთხვევაში, როცა მომჩივარნი გარეგანის შეხედულობით 20 წლისაზე ნაკლებნი არიან.

ყველა განცხადებებს და საჩივრებს ქალაქის გამგეობა განიხილავს 24 და 25 იანვარს, თუ ამ ორი დღის განმავლობაში მომჩივანთ არ მიუვათ ქალაქის გამგეობისაგან პასუხი საჩივრისა, ან მიუვათ უარი, მათ აქვთ უფლება ორი დღის განმავლობაში, ე. ი. 26 და 27 იანვარს შეიტანონ საჩივარი საოლქო სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილებაში, რომელიც ვალდებულია ორი დღის განმავლობაშივე, ე. ი. 28 და 29 იანვარს განიხილოს ყველა სასამართლოში შესული საჩივრები.

რესპუბლიკის მოქალაქენო, იცოდეთ, რომ, ვინც სიაში არ იქნება შეტანილი, მას ხმის უფლება არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ეშურეთ ისარგებლოთ კანონიერი ვადით და განაცხადეთ სარაიონო ბიუროებში გამოტოვების და სიების ნაკლულევანების შესახებ, რომ შეტანილი იქნეთ სიებში და არ დაკარგოთ ხმა.

მოქალაქენო! საქართველოს პარლამენტის დადგენილებით საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები უნდა მოხდეს 14—16 თებერვალს. დამფუძნებელ კრების არჩევნები თფილისში მოხდება ამომრჩეველთა იმავე სიებით, რომლებითაც უნდა მოხდეს ქალაქის ხმოსნების არჩევნები. ახალი საარჩევნო სიები დამფუძნებელ კრებისათვის არ შესდგება. საქალაქო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა სიები სდგება და ამ სიებით უნდა მოხდეს ორი ფრიად მნიშვნელოვანი არჩევნები: ქალაქის საბჭოსი და დამფუძნებელის კრებისა. ვინც სიებში არ იქნება შეტანილი, მას არა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა არცერთს ამ არჩევნებში.

მოქალაქენო! შეასრულეთ თქვენი მოვალეობა და ვინც გამოტოვებულია სიებში ეშურეთ შეიტანოთ განცხადება სარაიონო ბიუროში, რომ დამატებით ჩაგწერონ და ხმა არ დაკარგოთ.

---

**სახელმწიფო თეატრი „კავშირი"-ს დასი.**

წარ. № 14 ხუთშაბათს, 23 იანვარს წარ. № 14

„კავშირი"-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეშვიდეთ ი. გედევანიშვილის ზღაპარი ფეერია 1 ნაწ: 3 მოქმ. და 7 სურ.

**სინათლე**

ბალეტი ბ. ვაკარეცის ხელმძღვანელობით ხორო და ორკესტრი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

რეჟისორი შალვა დადიანი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

წარმომადგენელი ა. გაჩეჩილაძე. მსახიობთა კავშირის დირექცია.

მზადდება: დიდი ამბავი ტყუილ უბრალოდ, სინათლე მეორე ნაწილი.

---

## განცხადება

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ 23 იანვარს (ხუთშაბათს) სამხედრო სასწავლებლის ყოფილ შენობაში დილის 10 საათზე

**საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ცხენები**

მთავარი შტაბი,

---

საქ სოც.-დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტის ქ. თფილისის საარჩევნო

**ცენტრალური ბიურო**

მოთავსებულია თფილისის კომიტეტის ბინაზე, გოლოვინის პროსპ. № 24, სახლი არაფელოვისა. ღიაა ყოველ დღე განუწყვეტლივ დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე. ბიურო იძლევა ყოველგვარ საჭირო ცნობებს.

---

**სამასწავლებლო კურსები**

გორის სამაზრო ერობის ინიციატივით და მის ხარჯზე ქ. გორის საოსტატო სემინარიაში იხსნება სამასწავლებლო მოსამზადებელი კურსები თებერვლიდან, სადაც სწავლა გაგრძელდება 5—6 თვეს. კურსებზე მიიღებიან ორივე სქესისა ყველა, ვისაც აქვს გათავებული არა ნაკლები ოთხი კლასისა. სწავლა უფასოა. მსმენელებს მიეცემათ აგრეთვე უფასოდ ბინა გათბობით და განათებით. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს გორის სამაზრო ერობის გამგეობაში. (7—5)

---

**სახელმწიფო თეატრი**

ოპერა

ს. ი. ევლახიშვილის დირექცია.

პარასკევს, 24 იანვარს, სპექტაკლი ჰალი.

**პირველად ქართულ ენაზე**

**დემონი**

მონაწილეობას მიიღებენ: შულგინა, ხორანა, სარაჯიშვილი, ინაშვილი, ისეცკი, დემიანენკო, კურბატოვი.

---

20 იანვრიდან იხსნება

**ქართული საბავშო ბაღი**

გამოცდილ პედაგოგების ხელმძღვანელობით. შემოღებული იქნება სწავლა ფრანგული ენისაც. მიიღება ბავშვები 5—8 წლამდის. მისამართი: მიხეილის ქ. 107, ყოველდღე შუადღის 12—2 ს. (7—5)

---

ქ. ახალ სენაკში 1915 წლიდან არსებობს ჟურნალ-გაზეთების კანტორა

**„კანტორა მუშათა საერთაშორისო"**

სადაც მიიღება ხელის მოწერა ყოველგვარ ჟურნალ-გაზეთებზე, ვღებულობთ საკომისიოდ ახლად გამოცემულ წიგნებს.

გამგე დომ. ეხებუა.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზეთის შესახვევი. № 1.